ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6590191

ნომერი: AR1980338

თარიღი : 24.07.2023

გაცემის თარიღი : 31.07.2023

გაცნობის თარიღი : 31.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 , (ნაკვეთი N4/139);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ტურძელაძე პ/ნ 61001058093
- ქობულეთი 9 აპრილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 24 ივლისს №AR1980338 განცხადებით მომართა ლევან ტურძელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 21 მარტის

№6378436 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ხოშარაულის ქუჩა №29-ში მდებარე №01.13.05.004.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (I ბლოკის) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 21 მარტიდან 2027 წლის 21 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს შეთანხმებულ +39.60 ნიშნულის გეგმაზე საცხოვრებელი ბინების ნუმერაციის გასწორება, კერძოდ №279 საცხოვრებელ ბინაზე არასწორად იყო დაფიქსირებული №229. აქედან გამომდინარე, ითხოვს შეთანხმებული +39.60 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას წარმოდგენილით.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი +39.60 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა შეადარა შეთანხმებულ ამავე ნიშნულის არქიტექტურულ გეგმას და დაადგინა, რომ აღნიშნული ნიშნულის არქიტექტურულ გეგმაზე მდებარეობს №264-№285 საცხოვრებელი ბინები. თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად საცხოვრებელი ბინების ნუმერაცია არათანმიმდევრულია, კერძოდ №278 საცხოვრებელი ბინის შემდგომ, №279 საცხოვრებელი ბინის ნაცვლად, არასწორად დაფიქსირდა №229 საცხოვრებელი ბინა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და შეთანხმებული +39.60 ნიშნულის არქიტექტურული გეგმის ჩანაცვლება წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებაში და შეთანხმებული +39.60 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6378436 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.